ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2631144

ნომერი: AR1381154

თარიღი : 11.03.2016

გაცემის თარიღი : 02.06.2016

გაცნობის თარიღი : 12.06.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კახეთის გზატკეცილზე , მრეწველობის სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლეილა იმერლიშვილი პ/ნ 01017008469
- თბილისი მ.ზანდუკელის ქ. N 3

ნომენკლატურა :

- პავილიონი
- II კლასი
- ახალი მშენებლობა
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 2345694
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 12.04.2017

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: დროებითი სტატუსის მქონე მსუბუქი კონსტრუქციის პავილიონი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: დანიელი სარაჯიშვილი

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ლეილა იმერლიშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01017008469

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 4359.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 2177.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 50.59
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 50.59
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 211.5
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 199.5
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 12.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 4.7
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 4.5
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 0.2
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : k1=54,18+(N1/1)311,31+(N2/1)215,90+(N3/1)24,54+(N4/1)77,70+(N5/1)764,48+(N6/1)140,74+(N7/1)67,87+(N8/1)55,40+(N9/1)156,69+(N10/1)78+(N11/1)17,69+(N12/1)13,1+(N13/1)21,72+(N14/1)146,54+(N15/1)31,8=2177,66/4359=0.499=0,5
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : k2=54,18+(N1/1)311,31+(N2/1)215,90+(N3/1)24,54+(N4/1)77,70+(N5/1)764,48+(N6/1)140,74+(N7/1)67,87+(N8/1)55,40+(N9/1)156,69+(N10/1)78+(N11/1)17,69+(N12/1)13,1+(N13/1)21,72+(N14/1)146,54+(N15/1)31,8=2177,66/4359=0.499=0,5
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : k3=5.27+5.27+45.07+46.90+39.13+119.24+157.07+21.27+34.28=473.5/4359=0.108=0.11

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ განმეორებით ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ აღნიშნული ხარვეზების შესახებ თქვენ უკვე გეცნობათ AR1381154 განცხადებაზე №2614794 და №2491964 გადაწყვეტილებებით, რაც თქვენი მხრიდან სრულად არ არის გამოსწორებული და ამჟამად წარმოდგენილი დოკუმენტაციით გამოვლინდა ახალი გარემოებაც, კერძოდ:

1. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით საპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრეა შპს "მშვიდობა", რომლის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი არის სერგო ოთიაშვილი, ხოლო განცხადებით მოგვმართეთ თქვენ ლეილა იმერლიშვილმა. "არსებობის შემთხვევაში წარმომადგენელის მინდობილობა/რწმუნებულების" ველში აიტვირთოს მესაკუთრის მოქ. სერგო ოთიაშვილის მინდობილობა გაცემული თქვენს სახელზე ან შესაძლებელია მოქ. სერგო ოთიაშვილი დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად;
2. "დამკვეთის ინფორმაცია. -> .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი" - ვინაიდან მიწის ნაკვეთის მესაკუთრე არის შპს "მშვიდობა", რომლის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი არის სერგო ოთიაშვილი, შესაბამისად ამ ველში მიუთითეთ მისი მონაცემები

3. "საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის pdf ფაილი" - ფოტომონტაჟის მიხედვით ხდება ტროტუარის კეთილმოწყობა, აღნიშნული დაიტანეთ საპროექტო გენგეგმაზე. გაითვალისწინეთ: ტროტუარის კეთილმოწყობის სამუშაო თუ სცდება საკადასტრო საზღვარს, მაშინ წარმოსადგენი იქნება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ "ქონების მართვის სააგენტო"-ს თანხმობა. წინააღმდეგ შემთხვევაში ამოღებულ იქნას ფოტომონტაჟიდან
4. "საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით" -შეიცვალოს ზემოაღნიშნულის შესაბამისად;
5. "ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .განაშენიანების ფართობი (კვ.მ)" - მითითებული უნდა იყოს მხოლოდ საპროექტო შენობის განაშენიანების ფართი.
6. "შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, მასშტაბი 1:100. -> .გეგმების pdf ფაილი" - გეგმაზე დაიტანეთ განაშენიანების რეგულირების ხაზი და მიაწერეთ მანძილი საკადასტრო საზღვრამდე. ასევე დაიტანეთ განივი ჭრილის ხაზიც
7. "შენობა-ნაგებობის ჭრილები, მასშტაბი 1:100. -> .ჭრილების pdf ფაილი" - დამატებით წარმოადგინეთ განივი ჭრილიც, ღერძებისა და ღერძული მანძილების, საკადასტრო საზღვრამდე მანძილების, არსებული შენობის კონტურის ჩვენებით, ასევე აჩვენეთ არსებულ და საპროექტო შენობას შორის დაშორების მანძილი. ასევე ჭრილი "1-1"-ზე დაიტანეთ განაშენიანების რეგულირების ხაზი და საკადასტრო საზღვრები სრულად.
8. "შენობა-ნაგებობის ფასადები, მასშტაბი 1:100. -> .ფასადების pdf ფაილი" - ფასადებზე სრულად დაიტანეთ საკადასტრო საზღვარი (აკლია), აკლია "1-4" ღერძებში ფასადი, ხოლო "გ-ა" ფასადი ორჯერ არის წარმოდგენილი. ატვირთეთ "1-4" ღერძებში ფასადიც. ფასადებზე ასევე დაიტანეთ არსებული შენობის კონტური და მიუთითეთ საპროექტო შენობიდან დაშორების მანძილი. დაიტანეთ განაშენიანების რეგულირების ხაზი
9. "ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედები. -> .ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედების pdf ფაილი (ზომების და ნიშნულების ჩვენებით)" - ფოტომონტაჟზე ნაჩვენებია ტროტუარის კეთილმოწყობაც. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული სამუშაო სცდება საკადასტრო საზღვარს, მაშინ წარმოსადგენი იქნება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ "ქონების მართვის სააგენტო"-ს თანხმობა. წინააღმდეგ შემთხვევაში ამოღებულ იქნას ფოტომონტაჟიდან
10. "საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული CAD ფაილი. -> .საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით" - ატვირთეთ შესწორებული ვარიანტი
11. "მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკი. -> .მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკის pdf ფაილი" - კალენდარული გრაფიკი შეადგინეთ თვეების მიხედვით
12. ვინაიდან საჯარო რეესტრიის ამონაწერში იპოთეკარად დაფიქსირებულია სს "პროკრედიტ ბანკი", შესაბამისად წარმოსადგენია სს "პროკრედიტ ბანკი"-ს თანხმობა
13. საპროექტო დოკუმენტაციაში გაითვალისიწნეთ შეზღუდული შესაძლებლობის პირთათვის პანდუსის მოწყობა (იხელმძღანელეთ საქართველოს მთავრობის 2014 წ. 06 იანვრის #41 დადგენილებით). შესაბამისად შეასწორეთ ყველა დოკუმენტაცია.

გაითვალისწინეთ: სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში, წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.